საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/11 **17/06/2021**

რეცენზია

გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასება და მართვა პირველად ჯანდაცვაში

საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციის მიერ განხილული და მომზადებული იქნა რეცენზია „პირველადი ჯანდაცვის დონეზე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასებისა და მართვის“ პროტოკოლზე, რომელიც შემუშავდა საქართველოში ჩეხეთის კარიტასის (CCR Georgia) და ჩეხეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარე „პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში. პროტოკოლის განხილვაში მონაწილეობდა საოჯახო მედიცინის ასოციაციის ექსპერტთა ჯგუფი - ოჯახის ექიმები და ოჯახის ექიმ-მასწავლებლები.

აღსანიშნავია, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები საქართველოში ავადობისა და სიკვდილობის წამყვანი მიზეზია და ამავე დროს, უკანასკნელ პერიოდში აღინიშნება ამ დაავადებების პრევალენტობის ზრდა. შესაბამისად, გსდ რისკის დროული შეფასება სარწმუნო ინსტრუმენტებით და მისი დროული მართვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისა და ინდივიდუალური პაციენტებისთვის ამ მიზეზით გამოწვეული უნარშეზღუდულობისა და სიკვდილობის შემცირების მიზნით.

პროტოკოლის შემუშავებისათვის შესრულებულია ვრცელი და ყოვლისმომცველი სამუშაო, რაც უდაოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. პროტოკოლი ეყრდნობა ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის 2016 წლის გაიდლაინს კლინიკურ პრაქტიკაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციის შესახებ, ასევე გამოყენებულია 2018 წლის კანადის ჰარმონიზებული ნაციონალური რეკომენდაციების გაიდლაინი გსდ რისკის პრევენციის შესახებ პირველად ჯანდაცვაში, ამერიკის დიაბეტის ასოციაციის 2021 წლის გაიდლაინი გულ სისხლძარღვთა დაავადებებისა და რისკის მართვაზე, ბრიტანეთის კლინიკური დახელოვნების ეროვნული ინსტიტუტის (NICE) 2016 წლის გსდ რისკის შეფასებისა და პრევენციის გაიდლაინი, uptodate-ს რეკომენდაციები და მსგავს თემაზე სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო წყაროების უახლესი მეცნიერული მტკიცებულებები, რაც მიუთითებს დოკუმენტის მაღალ ხარისხზე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ახალი მტკიცებულებების დაგროვების პარალელურად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასებისა და მართვის 2014 წლის ეროვნულ პროტოკოლი უკვე საჭიროებდა განახლებას, შესაბამისად, წარმოდგენილი პროტოკოლი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ქართველ ექიმებს პირველადი ჯანდაცვის დონეზე გსდ რისკის შეფასებისა და მართვის პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში.

რეცენზირებული პროტოკოლის სტრუქტურა შესაბამისობაშია დაავადებათა მართვის ეროვნული რეკომენდაციების შემუშავების სახელმძღვანელოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან და მოიცავს ფორმით განსაზღვრულ აუცილებელ თავებს.

პროტოკოლში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია რისკის შეფასების SCORE-სქემაზე, თუმცა, ამავე დროს მითითებულია სხვა ავტორიზებული სქემების, მაგალითად, ფრემინგემის, Q-risk-ის და ა. შ. გამოყენების შესაძლებლობა, რაც კლინიცისტს არჩევანის თავისუფლებას არ უზღუდავს. სტრუქტურირებულად და ლოგიკურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია გსდ რისკის შეფასებისა და მართვის გზების შესახებ, რაც გააიოლებს მის აღქმას პრაქტიკოსი ექიმების მიერ.

ამომწურავად არის მოცემული ინფორმაცია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის არამედიკამენტური მკურნალობის მნიშვნელობის, ფარმაკოლოგიური მკურნალობის ჩარევის ზღურბლის, სამიზნე მაჩვენებლების, რისკის დამაქვეითებელი მედიკამენტური მკურნალობის სტრატეგიის შესახებ სხვადასხვა სპეციფიკურ ჯგუფებში.

პროტოკოლში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება პჯდ ექიმების კომპეტანციას და ქსელში არსებულ რესურსებს. პროტოკოლის რეკომენდაციების პრაქტიკული დანერგვის მიზნით მიზანშეწონილია შესაბამისი უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების შედგენა და ტრეინინგების ორგანიზება.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე რეცენზირებული პროტოკოლი მთლიანობაში დადებითად უნდა შეფასდეს და რეკომენდაციის ვუწევთ მის დამტკიცებას წარმოდგენილი ფორმით.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი